№ 67 მარტის 31. კვირა 1866—1885 მარტის 31, კვირა. № 67

„დროება“ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] გვერდი 25 მანათი; პირველი [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

„დროებისა“ ფასი აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მ. და 50 კ.; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მან. და 50 კ.
წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

ქართული თეატრი

დღეს, 31-ს მარტს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

პირველად

**ახლანდელი სიყვარული**

სცენები ყოველ-დღიურ ცხოვრებიდამ 4 მოქმედ.

II

**სუსტი მხარე**

ხუმრობა—ვოდევილი 1 მოქმედ.

ანტრაქტებში დაუკრავს ორკესტრი ბატ. ქარდაკოვის მოთაოსნობით.

დასაწყისი 8 საათზე.

---

დღეს მარტის 31-ს

თბილისის კლუბში „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ გამართული იქნება

**მუსიკალური და ლიტერატურული**

**საღამო**

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ზარუდნაიასი, დავიდოვისა—ფერგის, გაბუნია და ბბ. ოპოჩინინი, რიაბინინი, თხორჟევსკი, თ. ვ. თუმანიშვილი, გორსკი და ს. მგალობლიშვილი.

კონცერტის შემდეგ

«ტანცაობა»

ბილეთები ისყიდება შავერდოვთან და თვით კლუბში.

---

## ერთის ანდერძის ამბავი

თბილისი, მარტის 31-ს

მერიემა შიოევისამ უანდერძა ქალაქს თბილისს ის სახლი, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე სდგას იმ პირობით, რომ იმის შემოსავლით გამოზრდილიყვნენ თბილისელი სომხის შვილები და ქალაქს არ ელო ის დაფასების გარდასახადი, რასაც იგი ყოველ ქალაქის მამულზედ იღებს. ერთ დროს დიდი ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ესეთი შემოწირულობა ძნელი მისაღებიაო, რადგან მთელ ქალაქს, ე. ი. მთელი ქალაქის მცხოვრებლებს აკლებს დიფასების გარდასახადს და ჰმატებს მხოლოდ ერთის ტომის შვილებს. ამ საფუძლიანს მოსაზრებას არ მიჰხედა ქალაქის რჩევამ და ნაანდერძევი სახლი მიიღო სწორედ იმ პირობებით, რა პირობებიც შეეთხზა (!) განსვენებულს შიოევის ქვრივს. შიოევისა სრულიად უბრალო და გაუნათლებელი დედაკაცი იყო და „მიენდო თავის ანდერძის შესრულება დუშე-პრიკაზჩიკებისათვის.“

„დუშე-პრიკაზჩიკებმა“ უსასყიდლოდ შეასრულეს ანდერძი განსვენებულის ქვრივისა (თუმცა მათ სასარგებლოდ რაღაც პროცენტები იყო დანიშნული, მაგრამ ეხლანდელ დროში პროცენტებს ვილა ახსენებს), ჩააბარეს სახლი ქალაქს ცხრა ათასი თუმნის ვალით, რომელიც ქვრივის სიკვდილის შემდეგ აიღოთ და გადგნენ განზედ. უნდა გენახათ, ერთი მათგანი როგორის თავ-მოკატუნებით, თითქმის თვალ-ცრემლიანი, მოწყვლილებულის ხმით ლაპარაკობდა ვერცხლის-უყვარულობაზედ და თავის გულის-სიწმინდეს უდარებდა იმ ქვრივის გულის სიწმინდეს, რომელსაც იქნება მართლა კეთილი სწადდა, მაგრამ „დუშე-პრიკაზჩიკებისა“ და სხვა გვარი „პრიკაზჩიკების“ წყალობით, ეს კეთილი ბოროტად გადაკეთდა.

ჩვენ არ ვხუმრობთ და არც გვეხუმრება: ქალაქის რჩევამ იმდენად შორს-გაუმჭვრეტელობა გამოიჩინა, რომ ნება-ყოფლობით გაიბა თავი იმისთანა მახეში, რომლიდამაც დაღწევას ველარ მოახერხებს. იქნება რჩევა ნაანდერძევის მიღების დროს ჯიბრით ხელ-მძღვანელობდა და იმიტომ მოაკლო მთელს ქალაქს დაფასების გარდასახადი, მაგრამ ბოლონდელმა ამბებმა გამოაჩინეს, რომ ამით რჩევამ არაფერი-რა შეჰმატა: მართლაც, არამც თუ გადარჩება რამე შიოევის სახლების შემოსავალს სომხის შვილების გასაზრდელად, პირიქით ქალაქმავე ყოველ წელს კარგა ბლომა ფული უნდა დაახარჯოს, რომ გაუძლოს იმ ვალს, რომელი ვალიც მას დუშე-პრიკაზჩიკებმა უძღვნეს. დავანებოთ თავი სიტყვებს და მივმართოთ ციფირებს, რომელნიც უფრო აშკარად დაანახვებენ მკითხველს ჩვენის აზრის სიმართლეს:

შიოევის მამული დაგირავებულია თბილისის საადგილ-მამულო ბანკში 90,000 მანათად და წელიწადში უნდა შეიტანოს ქალაქმა 8,100 მანათი. ამ სახლზე დღემდის ქალაქს დაუხარჯავს თავის ფულიდამ 15,000 მანათი. სახლის ზემო-ეტაჟს იღებს „კრუჟოკი“ იმ პირობით, თუ ქალაქი მას გადააკეთებს. გადასაკეთებლად და სხვა ხარჯისათვის დასჭირდება ქალაქს 45,000. წმინდა შემოსავალი კი ამ სახლებიდამ არ აღემატება 12,000, ან 13,000 მანათს, ასე რომ ქალაქი

---

ერთი სცენა დრამიდან

## თამარ-ცბიერი

(დასასრული*)

თამარ (გაოცებით)?

თუ მართლა ამბობთ მაგას, მგოსნებო,
სხვა გვარად რად ჟღერს მაშ თქვენი ქნარი?
სჩანს, სიცრუეა თქვენი ფსალმუნი
და თქვენ ყოფილხართ კაცთ მატყუარი!
თქვენ არ უგალობთ ქვეყნად სიყვარულს,
ვით სასუფევლის ძალას რამ ზენას,
და მიწის შვილთა, თქვენგანვე ცდენილთ,
უცნაურ ძალით უხიბლავთ სმენას?

მგოსანი

ჩვენ რომ ვუგალობთ, ის სხვა გრძნობაა:
რუსთველებრივი, ტარიელური!
ის ნუ გგონიათ თქვენ გულის ფხანვა
საყოველთაო... ყოველ-დღიური.
მხოლოდ რჩეული ცისა და ქვეყნის
ალმა-ფრენითა იმას მისწვდება
და დანარჩენი უმრავლესობა
იმ ძალს ვერ იგრძნობს, ისე მიწდება.

თამარ (გატაცებით)

მაშ თუ მაგრეა იმა ცრუ ნიჭს
რომ დაეძებდეს აქ, მიწიერი,
რაღად ამტყუნებს გაუკითხავად
უსამართლო და უგნური ერი?
რომ სიყვარულსაც დაუხშოთ გული,
სხვა რაღა გვრჩება აქ ნეტარება?
კაცი მაშინ გრძნობს მხოლოდ სიცოცხლეს,
როცა ისრულებს—რაც ენატრება.

მგოსანი

ჰმ... დედოფალო! მესმის მაგ სიტყვის
ჯადოსნური რამ მშვენიერება,
მაგრამ პასუხი რომ მოგახსენოთ;
იქნება მეტი კადნიერება
და ველარ ვბედავ...

თამარ

სთქვი! ნუ დაჰფარავ,
გინდ იყოს ჩემი გმობა... ყვედრება!
აქ დედოფალი დღეს აღარ არის,
და მხოლოდ ქალი გესაუბრება...

მგოსანი

თქვენი ნებაა!.. ვინ ჰგმობს სიყვარულს,
მოპოებულსა ალმა ფრენითა?..
ჰკიცხავენ მხოლოდ ცუდად მოხვეჭილს:
ქვეყნის ცრემლით და სისხლთა დენითა
(გაჩუმდება; თავს ჩაღუნავს)

თამარ (ნაღვლიანის ღიმილით)

ჰმ... მიკვირს: კაცი, შორს გამჭვრეტელი
ახლო-მახლოზე რისთვის იხვევს თვალს?
ამ იმერეთის ამბოხებაზე,
ნუ თუ, მგოსანო, შენც მე მაღებ ბრალს?
როცა ზღვა ჰღელავს ნავ-ჭურჭლებიცა
მათ უნებურად ექანებიან.
ხალხიც ისეა: თუ რომ მღელვარებს
ქერძო პირებიც აეგზნებიან.
იმავ თავიდან იმერთა მხარე
ბუდე ყოფილა არეულობის,
სარბიელი რამ გაუტანლობის
მოღალატობის და ორგულობის:
არავისა სწამს აქ სისხლ-ხორცობა,
ღვთისაც არა აქვსთ გულ-მართლად შიში!..
გონება-მეტ და გრძნობა-ნაკლებ ერს
ახელმძღვანელებს სულ ანგარიში.
მე იმერელი ქალი არა ვარ;
რომე უარ ვჰყო ჩემი ბუნება
და ცხოვრებაში ისე ვირჯები,
როგორც ეს გული მე მეუბნება.
შენ რომ წელან სთქვი, მეც იმ სიყვარულს
ვეძებ და ვეძებ თავ-დაღებულად!..
მხოლოდ ისა მრწამს ჩემის არსების
სახელმძღვანელო, უმაღლეს რჯულად.
და თუ აქამდე ვერ მიპოვია
დამნაშავობათ რისთვის მეთვლება...
ჰპელა სანამ ყვავილს ნახავდეს
მყრალ—ბალახებსაც თავსა ევლება!
არც ერისთავი, არც გერათელი,
არც გურიელი, არც დადიანი,
არც ბაგრატ-მეფე იმერეთისა,
ის უსინათლო და შავ-ღრიანი,
და არც სხვა ვინმე ჯერ მამა-კაცი
არ შემხვედრია, რომ მსურს მისთანა!..
და თავის თავზედ მდარე მამა-კაცს
ქალი საყვარლად იწამებს განა!..
მაგრამ მას შემდეგ რაკი, მგოსანო,
მე შენ შეგნიშნე და გავიცანი,
გრძნობა—გონებამ, ორივემ მითხრა,
რომ შენ ხარ ჩემი ტრფობის საგანი.
აწ შენ ხელთაა, არა თუ ჩემი,
მთელი სამეფოს ბედისა წერო!..
მას შეუძლია ერიც განკურნოს,
ვინც რომ თამარის გული აძგერა.
თუმც არ იქნები ნაკურთხი მეფე
მაგრამ ძალი კი მისი გექმნება,
რადგანც კანონი იქნება ჩემთვის
შენი სურვილი და შენი ნება.
მეტს აღარ ვიტყვი!.. აწ შენგან ველი
სიტყვებს გულ-წრფელსა, პასუხს უტყუარს

*) იხილე „დროება“ № 66.

ვერ აილებს თითქმის ორ პროცენტსაც იმ ფულზედ, რომელიც თითონ უნდა დააყაროს და თუ ქირამ ქალაქის სახლებზედ თან-და-თან ეხლანდელისებურად იკლო, იქნება ბანკში შესატანი სარგებლის შევსებაც ქალაქს დასჭირდეს. ესეთი მახინაციები შეუმზადეს ქალაქს საბრალო ქვრივის დუშეპრიკაზჩიკებმა, რომელთაც თავიანთ ხრიკებს ეროვნული ფერი მისცეს, რომ ქალაქის რჩევისათვის თუ სხვაფრივ არა, ამით მაინც ადვილად აეხვიათ თვალი.

## წერილი რედაქციისადმი.

ამ უკანასკნელს რიცხვებში თქვენი პატივცემული გაზეთის «დროების» ნომრებში ამტყდარი მსჯელობა შესახებ მეგრული ენისა, რომ ის, მეგრული ენა არის ქართული ენის ღვიძლი შვილი, ან უკედ ვსთქვათ: მეგრული ენა იგივე ქართული ენაა, დღემდის ჩვენ, მეგრელებს სათაკილოდ და უადგილოდ მიგვაჩნდა და ასე ვამბობდით: 2 და 2 რომ 4-ია, ამას რა დამტკიცება უნდაო. მაგრამ დღეს «დროების» მე-59 №-ში დაბეჭდილმა მაიძულა გთხოვოთ ადგილი მომცეთ თქვენის გაზეთის ფურცლებზე, რომ, არა მარტო მარტივის სიტყვებით, როგორც იყო გაზეთში, არამედ მარტივის და რთულის ქართული და მეგრული წინადადებათა ერთმანეთთან შედარებით, დავუმტკიცო ამ საგანზედ ცრუ მეცნიერებს ამ ორი ენის ერთხორცობა და ერთ-სულობა.

აი, საბუთებიც:

| ქართული | მეგრული |
|---|---|
| ღმერთმანი უსამართლოებაა ჩვენი შეწუხება. | ღორონთუმე უსამართლობარე ჩქინი შეწუხება! |
| მოთმინებას საზღვარი აქვს! | მოთმინებას სანზღვარი უღუ! |
| ძალიც მისი ხელშია და სამართალიც. | ძალითი მუში ხესრენდო სამართალითი. |
| ღმერთმა ჰკითხოს იმ ულმერთოს! | ღორონთქ კითხას ი ულორონთეს. |
| ჩემი დედა ქალაქშია. | ჩქიმი დიდა ქალაქისრე. |
| სამი კვერცხი ოთხ კაპეიკად ღირს. | სუმი კვერცხი ოთხი კაპეიკიშა ღირ. |
| ერთი აბაზის ღვინო და ერთი შაურის ხახვი მომეცი. | ართი აბაზიში ღვინი დო ართი შაურიში ხვარხვი ქომუჩი. |
| საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათარაკს დააბრალებსო. | საქმეს წააყონეს რეგვენი ფათარაკის დააბრალენსია. |
| ძმაო ბოგი! ჯორი და ცხენი მათხოვე და ჩემი უნაგირი გააკეთებინე. | ჯიმა ბოგი! ჯორი დო ცხენი ქმოთხი დო ჩქიმი უნაგირი გაკეთებაფე. |
| ტურამ გაწყვიტა ჩემი ქათმები, ეხლა მყავს მხოლოდ ერთი დედალი და ერთი მამალი. | ტურაქ გოჭყვოდ ჩქიმი ქოთომეფი, ასე ჰუნს ხვალე ართი დადული დო ართი მუმული. |

ესეც კმარა, თუ ძალაზე არაა საქმე!

ყოველი გონიერი და პატიოსანი კაცი მოვალეა ზნეობითად, როცა მას ჰსურს რომელიმე პირის დაფასება, ან რომელიმე პირთან რაიმე საქმის დაჭერა,—პირველად გაიცნოს თითონ ის პირი, შეისწავლოს მისი ხასიათი, მოთხოვნილება, ავ-კარგიანობა და მისი დამოკიდებულება სხვა პირებთან და შემდეგ წარმოსთქვას მაზედ თავისი აზრი, ან იქონიოს მასთან საქმე. თუ კი კერძო პირის შესახებ ეს საჭიროა, მით უფრო საჭიროა ეს იმ პირისათვის, რომელსაც ხელში უჭირავს ერთის მხრით რომელიმე ხალხის ბედ-იღბალი. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში, სამეგრელოში, ზოგიერთმა უფროსმა სრულიად არ იცის ჩვენი ისტორია, მოთხოვნილება, რომელია ჩვენი დედა ენა, რისთვის ჩამოვრჩით ჩვენ სწავლა-განათლებაში სხვებს, ჩვენს ძმებს, ქართველებს; ისიც-კი არ იცის, რომ სენაკის მაზრაში ბევრია იმისთანა სოფლები, (ბორდი, ვინჩხა, ნოღა, ხუნწი, სუხჩე, საჭილაო...) სადაც მარტო ქართულს ენაზე ლაპარაკობენ... ერთის სიტყვით, არ იცის ჩვენი ვინაობა, ვერ გვიცნობს მეგრელებს.

ამ გვარი უფროსის ზოგიერთს განკარგულებას დიდი ვნება მოაქვს საზოგადოებისთვის და მართებლობისთვისაც.

ყოველი კაცისათვის აუცილებელი საჭიროა, რომ იცოდეს სამი ენა: ა) სამშობლო, ბ) სახელმწიფო და გ) სამეზობლო. სამეზობლო ენებიდგან კაცმა უნდა ისწავლოს უპირველესი ენა; ის ენა, რომელს ენაზედაც არის ლიტერატურა, გონების ნაწარმოები; ის ენა, რომელ ენის საშუალებით შეუძლია ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა და სულიერი საზრდოს მოპოვება.

მეგრელები კიდეც რომ ქართველები არ იყვნენ, როგორც ჰგონებიათ ზოგიერთთ, მაშინაც დიდი უსამართლოება, შეცდომა იქნებოდა, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა არ ესწავლებინათ. აილეთ თუნდ მარტო ეკონომიური მხარე, შეხედეთ მას გონების თვალით და მიხვალთ იმ დასკვნამდის, რომ ქართული ენა, ვიმეორებ ჩვენი სამშობლო ენაც რომ არ იყოს, ჩვენთვის, მეგრელებისთვის, [illegible] [illegible]ლიერს და ხორციელს საზრდოს [illegible] მარტოლა, თუ არა ქართული ენის, სხვა რომელი ენის საშუალებით ვიქონიოთ მეგრელებმა აღებ-მიცემა იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ქართლ-კახეთში და ლეჩხუმში. ჩვენში ყოველთვის წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე ყოფილა და არის, აგრეთვე სასოფლო სასამართლოებში საქმის წარმოება ქართულს ენაზედვეა. ამიტომ ჩვენ, მეგრელებს გვაწუხებს ეს გარემოება, რუსული ენის სწავლება, როგორც ჰფიქრობენ, მეგრულის ენის საშუალებით, შეუძლებელია.

მეგრული სიტყვები რუსულის ასოებით არ დაიწერება და, თუ დავსწერეთ, აი, რა გამოვა:

| რუსული. | რუსულად მეგრული. | ნამდვილი მეგრული. |
|---|---|---|
| Шапка . . . | Куди . . . | ქუდი. |
| Чума . . . | Чири . . . | ჭირი, . |
| Вода . . . | Цкари . . | წყარი, |
| Воронъ . . | Корани . . | ყორანი, |
| Братъ . . . | Джима . . | ჯიმა, |
| Ястребъ . . | Кири . . . | ქირ(ქორი) |
| Катеръ . . | Джори . . | ჯორი, |
| Уксусъ . . | Змари . . | ძმარი, |
| Чаберъ . . | Кондари . . | ქონდარი, |
| Книга . . . | Цигни . . | წიგნი. |

**Куда, чири, цкари, корани, джима, кондари, джори, цигни**... არ არიან მეგრული სიტყვები. ასე რომ თუ მეგრული სიტყვები რუსულის ასოებით დაიწერა, მეგრული ენა დაიკარგება და გამოცხვება რაღაცა ახალი ენა, რომელსაც სხვა სახელი უნდა დავარქვათ.

გორტოხა.

23 მარტი.
ახალ-სენაკი.

---

და ნუ დაჰფარავ შენს გულის პასუხს!..
მითა სიწმინდეს, გაფიცებ შენს ქნარს.

მგოსანი

ღირსი არა ვარ მე მაგ დიდების!..
ვერც შევიფერებ მაგ გვარ წყალობას!..
სხვა რამეს ეძებს ეს ჩემი ქნარი,
სხვა ბანი უნდა ჩემსა გალობას.
გამოუხატავს შენში ბუნებას
შემოქმედობის ძალა ძლიერი,
თვალ-ტანადობა, გრძნობა-გონება
ნიჭი ბევრგვარი, გულ-სახმიერი.
მოუვლენიხარ კაცთა-მხიბლავად!....
კურთხეულ იყოს მისი განგება-...
ენამ უძლურმა, მომაკვდავისა,
ღირს-შესაფერი ვით შეგძლენას ქება?
როდესაც გიჭვრეტ, ცას ვხედავ გახსნილს
და სასუფევლის მშვენიერებას!..
შენა ჰკრეხ სიმებს ჩემის ჩანგისას
და მე უცნაურს ვგრძნობ ნეტარებას.
მაშინ ვემხობი შენ წინ სიმდაბლით
და გრძნობით გიხრი თავს, დედოფალო,
მაგრამ მე იმ დროს თვალ წინ მეხატვის,
შენი ნალვაწი სისხლისა კალო:
მომაკვდავთ კვნესა, ქვრივ-ობლის წყევა,
ძვეყნის ღალადი, ერთა ყვედრება,—
მესმის და წინა ტკბილი ოცნება
ვითა სიზმარი ისე მიქრება.
სასიყვარულოდ აღელვებული
მაშინ მე გული შურით მევსება
და გასაკიცხავ ლექსად იცვლება
მომზადებული ქებათა ქება.
ჰა, დედოფალო, ეს არის ჩემი
სრული სიმართლე, ვით აღსარება!
რომ მოგატყუო, არც ჩემ კაცობას
არც თქვენს მზეობას არ ეკადრება.

თამარ. (ხელები აქვს პირზე მიფარებული და ჰქლელავს წყნარად.)

წარსული ჩემი თუ ბოროტია,
თუმც მე არა მაქვს განძრახვით ბრალი,
ამიერიდან, შენ ხელთ იქნება,
და აცისკროვნე მაშ მომავალი.
მხოლოდ გიყვარდე!..

მგოსანი

არ მოხერხდება!
გულს ვერ ვაძგერებთ ძალდატანებით,
გულსა გამსჭვალულს უკვე ტრფობისგან
და აყვავებულს ტკბილის ოცნებით.

თამარ (უცბად, მიგარდნით)

მაშ გიყვარს ვინმე?

მგოსანი

დიაღ! თამარი!

თამარ

ჩემი ასული?

მგოსანი

არა! ის არა!

თამარ

მაშ აბაშიძის?

მგოსანი

მაგას რას ბძანებ?

თამარ (ხელს ჩაჰკიდებს)

მაშ, შენვე მითხარ: ვინ თამარია?
ჩქარა! ნუ მტანჯავ!... ნუ აგვიანებ?!

მგოსანი

ის თამარია, ჩვენი ქვეყანა
რომ გაადიდა... გააძლიერა!...
ის თამარია, ვისთვისაც შოთამ
საშვილიშვილოდ ჩანგი აჟღერა!!

თამარ

ხა! ხა! ხა! მკვდრისა არა მაქვს შური!
რადგანც ცოცხლებში არავინ გიყვარს,
ამიერიდგან აქ ეს თამარი
შემოგევლება საჭირ-ნაცვლოდ გარს.
(მოეხვევა).

მგოსანი (აშფოთებული თავისთვის).

რა მემართება!... ლამის წამერთვას
მე უნებურად გრძნობა—გონება!..
არა, არ შვენის გრძნობის მეუფეს,
მგოსანს, დიაცის ცუდად მონება!

(გამოუსხლტება)

მომშორდი!... ჩემგან შორს! შორს მაცდურო.

ჩემზედ ვერ გასჭრის ეგ ცბიერება!...
სხვები მოსძებნე და მათ დაუგე
მახეთ ეგ შენი მშვენიერება.
ვისიც წასული შებღალულია,
ვისგამოც იდგა სისხლისა ღვარი,
მას ჩემი გული ვერ მიენდობა
და შეაჩვენებს ეს ჩემი ქნარი.

თამარ (გაშმაგებით, თავისთვის.)

წახდა ყოველი!... და ეს სირცხვილი
ყველა ჩემ ტანჯვებს აღემატება!...
ოჰ, ის ღიმილიც ჯოჯოხეთური,
მის გველურ სახეს ზე ეხატება.

(მრისხანედ მგოსანს)

მე მხოლოდ გცდიდი, შე უბედურო!
კმარა! რაც სცოდე, ისიც გეყოფა!...
ჰეი, (შემოცვივდებიან კარისკაცები) შეჰკარით!
მან მოინდომა
ძალით დედოფლის შეურაცხყოფა!

დაიჭირეთ!....

(დედოფალი ლეჩაქ მოხდილი, თმა გაწეწილი თითს მიაშვერს მგოსანზე, რომელსაც კარისკაცები იჭერენ. მგოსანი გაოცებულია.)

აკაკი.

# შინაური ქრონიკა

== გაზეთის «კავკაზის» ოფიციალურ განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი ბრძანება კავკასიის მთავარ-მართებლისა, მარტის 27-დამ.

„,რადგანაც ამ ჟამად გამგე ჩემის სამმართველოისა, გენერალ-მაიორი შეპელევი, ტფილისიდამ უნდა წავიდეს, ამიტომ მივანდობ ვიცე-დირექტორს ამავე სამმართველოისას, სტატსკი-სოვეტნიკს როგეს, რათა ასასრულოს მან თანამდებობა შეპელევისა და მიიღოს მონაწილეობა ხსენებული სამმართველოს სხდომებში, ხოლო თავის თანამდებობა კი დროებით გადასცეს საქმის მწარმოებელს სტატსკი სოვეტნიკს ამბარდანოვს''.

== მაისის ორს ქ. ქუთაისში ოლდენბურგის პრინცის თაოსნობით გაიმართება მარული. საჩუქრები დანიშნულია 100-იდამ ვიდრე 300 მან-დის. მანძილი მარულისათვის იქნება 3—6 ვერსამდე.

== ოფიციალურს გაზ.: „,კავკაზში'', როგორც მოგეხსენებათ იბეჭდებიან სახაზინო განცხადებანი. რამდენიმე პირთ, რომელნიც ცალკე ნომრობით ჰყიდულობენ ამ გაზეთს, შემოგვჩივლეს ჩვენ, რომ ამ განცხადებებს ვერ ვპოულობთ გაზეთშიო; ხელის მომწერთ-კი ურიგდებათ ეს განცხადებანიო. ათას-ორას თუმნამდე რომ ეძლევა ბ. ტკბენკოვს, განა ესეთი საჭირო განცხადებანი მარტო ფორმისათვის უნდა იბეჭდებოდენ, თუ საზოგადოდ ხალხში გასავრცელებლად?

== დომხალი თუ გნებავთ, აი, ეს არის! ვინმე ლავროვ-ვიშნევსკის მოუწადნია რუსული სცენის მოყვარეთა დასის შედგენა, რომელშიაც ჩაირიცხებიან სომხური დასის არტისტკა ზაბელისა და ქართული დასის არტისტი ქ. ყიფიანი.

== პრიკაზში დაგირავებულს მამულებზე, რომლებზედაც მომავალს მაისში დანიშნულია ვაჭრობა, სეკვესტრი დაიდო და დაინიშნა რამდენიმე პირი, რომელთაც შემოსავალი უნდა აიღონ ამ მამულებიდამ და პირ-და-პირ უნდა გადასცენ პრიკაზში, რადგან ამ დაგირავებულის მამულების მეპატრონეთ შეუძლიანთ თვით აიღონ მაისამდის შემოსავალი ამ მამულებიდამ და ამით პრიკაზს ზარალი მიეცეს.

== დღეს „,წერა კითხვის საზოგადოება'' მართავს „,საღამოს'' ტფილისის კრების დარბაზში.

== დღესვე ქართულს თეატრში დანიშნულია დიდ-მარხვის შემდეგ პირველი წარმოდგენა ქართულის დრამატიულის დასისა.

# უცხოეთი

## ავღანის საქმენი.

«Daily News»-ს მიუღია (მარტის 18 (30) რაულ-პინდიდამ შემდეგი ტელეგრამა: ბრძანება გამოიცა დღეს, რომ მოხმობილ იქმნეს 25,000 ჯარის კაცი, 76 ზარბაზნით და კარგად გაწყობილის არტილერიით. მეორე კორპუსი, რომელიც რიცხვით პირველთან თანასწორია, აგრეთვე იკრიბება. მაშველი ჯარი შემდგარი იქმნება 10,000 კაცისაგან. სასურსათო ალაგად დაინიშნება ქალ. პიშინი. ჯარების სარდლად ასახელებენ გენერალ რობერტსს. ამ ჯარის მოხმობამ ბანაკში ფრიად კარგი შთაბეჭდილება იქონია. ჯარი (20,000) რომელიც დღეს ვიცე-კოროლს ლორდ დუფერინს მიეგება, საუცხოოდ იყო გამართული და შეიარაღებული.

ზემოხსენებული გაზეთი პლტაცებაშია ვიცე-კოროლის და ემირის ნახვით. გაზეთს ეს გარემოება მიაჩნია ინგლისის პოლიტიკის აღმადგენელ ფაქტად და იმ ტრადიციის საფუძვლად, რომლის ძალით ინგლისი უნდა ეწინაალმდეგებოდეს ყოველის უცხოელისაგან ავღანის საქმეებში გაჩხირებას. დღესაც, როგორც ამ ოც-და-ათი წლის წინადო, ამბობს გაზეთი, დავის მიზეზად ისევ ის ჰერათი შეიქმნაო. იმ დროს სპარსეთმა წაიწია ჰერათისაკენ, მაგრამ ჩვენ მივაწვდინეთ მაშინდელს ემირს, დოსტ-მაჰმედს ყოველივე რაც საჭირო იყო მისთვის და ჰერათი ისევ ავღანს დავუტოვეთ.

**საფრანგეთი.** ჟულ-ფერის სამინისტრო დაეცა. ფრანცუზების ჯარის დამარცხებამ ჩინეთში გამოიწვია ეს გარემოება. როდესაც ამ დამარცხების ამბავი მოვიდა პარიჟში, საზოგადოების აღელვებას საზღვარი არა ჰქონდა. ყველანი სიბრაზით ჰკიცხავდენ ფერის. თონქინის ომი, იწერება როშფორის გაზეთი, დაიწყეს პალატების დაუკითხავად. ეს ომი სახემწიფოს ღალატის თანაბარიაო. ჟულ-ფერი, როგორც მოღალატე, ღირსია ჩამოხრჩობისა. მოღალატესთან ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის: მას ყელში ხელი უნდა წავავლოთ და ვარჩოთ სანამ ჟანდარმები დაიხსნიდენო...

ამ უკანასკნელი დროს მოსულ ტელეგრამებიდამ დაინახავდით, რომ საფრანგეთისა და ჩინეთის შორის მორიგებაზე მიდგა საქმე. ამ გვარად საქმის დატრიალება სასურველია, რადგან მთელი ევროპის ყურადღება ამ ჟამად სხვა უფრო მძიმე საქმეზეა მიპყრობილი:—ავღანის სამზღვრებზე, რომლის გამოც დაეობენ ევროპის ორი დიდი სახემწიფონი.

## „დროების" კორესპონდენცია

**სოფ. ბახვი.** (გურია) მარტის 25-ს. სოფ. ბახვი გაშენებულია დიდ-ვაკეზე და შეიცავს 400-მდის მცხოვრებს. ამ სოფელს თითქმის პირველი ადგილი უჭირავს გურიის სოფლებ შორის, როგორც სივრცით, აგრეთვე მცხოვრებლების რიცხვით და მათის შრომის მოყვარეობით. სწავლა-განათლება არ ითქმის, რომ გურიაში შესამჩნევად იყოს ფესვ-გადგმული, მაგრამ ბახვი ამ შემთხვევაშიაც არ ჩამორჩება ჩვენი ქვეყნის სხვა სოფლებს: ჩვენს სოფელში სწავლისადმი სურვილი შესამჩნევია; ყველა მსურველია თვის შვილს წერა-კითხვა მაინც ასწავლოს. ამ გვარი კეთილი წადილი ჩვენის სოფლელებისა სხვათა შორის შეიძლება აიხსნას შემდეგის გარემოებითაც: რა რომ ამ სოფელში სკოლა დაარსებულა, ეპისკოპოსის გაბრიელის შემწეობით (1874 წ.), პირველის სამის წლის გარდა ისეთი წელიწადი არ გასულა, რომ 20—25-მდის შაგირდი არ ასრულებდეს კურსს ამ სკოლაში. ზოგი ამათგანი მიდიან სხვა სასწავლებლებში და კარგად ასრულებენ სწავლას. ჯერ მაგალითი არ მომხდარა, რომ აქაურს შაგირდს, რომელსაც სამოქალაქო სასწავლებელში შესვლა მოუნდომებია, მეორე კლასის ეგზამენი არ დაეჭიროს. ყოველ წლობით აქ, ბავშვების მიღების დროს, ასამდის და მეტი მსურველები გროვდებიან. ზოგჯერ ჩხუბიც მოხდება—არა ჩემი შვილი უნდა ჩავაწერინო და არა ჩემიო. რასაკვირველია, ყველას მიღება ერთად შეუძლებელია და ხშირად მასწავლებელზე სამდურავსაც გაიგონებთ ამის გამო მშობლებისაგან. მაგრამ განა მასწავლებელის სურვილი-კი არაა ყველა დააკმაყოფილოს; მიზეზი სკოლის სიმცირეა. ჩვენს სკოლას სიმცირეს გარდა ერთი ცუდი საქმე სჭირს კიდევ: თვით შენობას თუმცა არა უშავს-რა, მაგრამ მდებარეობა მისი კი ვერ ასრულებს ჰიგიენურს მოთხოვნილებას: იქვე გვერდით იმყოფება სასაფლაო. ხალხმა ნაკლებად იცის, თუ რა ვნება მოაქვს საფლავის ასეთს სიახლოვეს იმ ადგილთან, სადაც მუდამ დღე ასამდის შაგირდი არის შეგროვილი. ზოგნი ეცადდენ დაეთანხმათ სოფლელები სასაფლაოს გადატანაზე, ამის შემდეგ მაინც მოესპოთ იქ დასაფლავება, მაგრამ მათმა ცდამ უქმად ჩაიარა, რადგან მოწინაალმდეგენი აღმოუჩნდენ. იმედი ვიქონიოთ, რომ ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსი იმერეთისა გაბრიელ მიაქცევს ამ გარემოებას ყურადღებას, მით უმეტეს, რომ მისის შეოხებით დაარსებულა ეს სკოლა.

## გამოცანები

### რაჭაში გაგონილი

დედა ერთი წლის, მამა ნახევარი წლის, შვილი სახნავში მირბოდა. (ღორი).

ფასკუნჯი კაცი მოვიდა, პირი აქვს და ენა არა, წვენი ჭამა ხორცი არა. (წურბელი).

სახლი ავაგე ხისაო, არ არის ნათლოტისაო, არც ქტუობა ცულის პირი, არც საყელო დაშვებული. (ხემხის გრისგი).

კაი მშრალი ვერ გამომშრის, ვერ შემკვრავს ხარაზიო, ბოლის ფერად გამოვზნდები, ხელს შეგრჩები ლამაზიო. (შიქა).

აქედგანა გავიქეცი, მინდვრის ბოლოს წავიქეცი, იქა ვსჯამე ეღიო, შინ მოვედ მშიერიო. (თოფი).

ოდენი ოდნის ოდენი, თავი აქვს გოდრის ოდენი, ფეხი უგავს მუგნა მადლსა, ხმაცა აქვს მერცხლის ოდენი. (კუდა).

აბლი ბაბლი, ოქროს ტახტი, მზით ავიდე მთვარით დავსდგი. (ყინული).

## კორექტურული შეცდომების გასწორება

გუშინწინდელს №-ში, ფელეტონში მესამე გვერდზედ, პირველ სვეტში

| სტრიქონი ზემოდამ. | დაბეჭდილია. | უნდა იყოს. |
|---|---|---|
| 3 | ფრანგების | გრანგების |
| 4 | ფრანგებიო | გრანგებიო |
| 6 | ფრანგებიო | გრანგებიო |
| 11 | fourni | fournis |
| 16 | annules | annales |
| 25 | ფრანგების | გრანგების, |
| 27 | ფრანგების | გრანგების |

# ტელეგრამები

„,ჩრდილოეთის სააგენტოსი''.

მარტის 30-ს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა განაცხადა: „,ჩვენ ყოველთვის გვეხსომება ჩვენი მოვალეობა ემირის წინაშე, როგორც ბრიტანიის სამეფოს წარმომადგენელთა.'' ამას გლადსტონმა დასძინა, რომ ავღანელები, შემდეგ მამაცურის ბრძოლისა, ნამდვილად დამარცხდენო, ორი როტა ავღანელებისა უკანასკნელს კაცამდის სრულიად დახოცილან გამაგრებულს სათრებში.

**პეტერბურგი.** „Journal de St-Peterbourg"-ი განმარტებს უკანასკნელ მსჯელობათა ინგლისის პარლამენტში და ამბობს, რომ დიდის მანძილისა და ოფიციალურად ცნობების უქონლობისა გამო არ შეიძლება გაირჩეს ცნობანი, რომელნიც ინგლისის პარლამენტმა მიიღო, ამისათვის უკეთესი იქმნებოდა თავ-დაჭერა ყოველის განმარტებისაგან, სანამ უფრო დაწვრილებითი ცნობანი არ მოსულა, მით უფრო, რომ ამ გვარს ცნობათ, უკანასკნელ შემთხვევათა გამო ახსნას რუსეთის მართებლობისაგან ითხოვს ინგლისის კაბინეთი. ძნელად წარმოსადგენია, რომ რუსის გენერლები, რომელთაც უწყიან თავიანთი მმართებლობის განზრახვანი, უმიზეზოდ იმოქმედებდენ. შეტაკება ავღანის სამზღვრებზე შეიძლება სამწუხაროდ ჩაითვალოს იმ მიზეზით, რომ ამას ექმნება გავლენა მოლაპარაკება-

ზედ, რომელიც შეიძლება მორიგებით გათავდეს; მაგრამ ამ გამოურკვეველ მდგომარეობის გამო და კიდევ იმისა რომ აზიის ხალხები მოკლებულნი არიან ყოველ გვარ დისციპლინას და მიჩვეულნი ძალადობას, ყოველთვის უნდა მოველოდებოდით შეტაკებას, ამისათვის უმჯობესი იქმნება მოვიცადოთ, სანამ ფაქტებს დაწვრილებით გავიგებდეთ.

**ბომბეი.** ბომბეის გაზეთი ეუწყება, რომ ემირს გულ-მხურვალედ უნდა ინგლისთან დაკავშირება; მაგრამ თხოულობს იარაღს, სურსათს და სუბსიდიის მომატებას. ინდოეთის ვიცე-კოროლი დათანხმდა. ემირი შიშობს, რომ ინგლისელების შემოსვლას ავღანში ადგილობრივი მცხოვრებნი მტრულის თვალით შეხედვენ წარსული ომების გამო ინგლისთან. ვიცე-კოროლმა მიუგო, რომ ინგლისელები გადავლენ სამზღვარს მხოლოდ ავღანელების ნება-რთვით, მაგრამ ინგლისი ყოველ შემთხვევაში აღასრულებს თვის მოვალეობას — დაიცავს ავღანის ტერიტორიას.

**ბერლინი.** გაზეთები ჰფიქრობენ, რომ მდ. კუშკაზე მომხდარი შეტაკება უთანხმოებას არ გააძლიერებს რუსეთისა და ინგლისის შორის. ამბობენ, რომ ინგლისი განგებ აზვიადებს ამ შეტაკების მნიშვნელობას, იმისთვის რომ რუსეთის ქადაგლდების დაცემა იმის ძლიერი იარაღია. ამის გამო ბერლინის გაზეთები ურჩევენ საზოგადოებას — არ დაერწმუნონ ინგლისურს ცნობათ.

**პარიჟი.** რუსეთის გამარჯვებამ აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამბობენ, რომ ოსმალეთმა უარჰყო ინგლისის წინადადება რუსეთის წინააღმდეგ კავშირის შესახებ და გამოაცხადა, რომ მას უნდა ნეიტრალიტეტი დაიჭიროს.

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — — 1 გირ. 5 კ.
ქართულის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — — 1 გ. $2^1/_2$
მეორისა — — — 1 გ. 2 კ.
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი.
პირველი ხარისხის — 1 გ. $4^1/_2$
მეორისა — — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — — 1 გ. $2^1/_2$
ჭვავის-მამი პური:
პირველი ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$
მესამისა — — — 1 გ. 3 კ.
მროხის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — — — 1 გ. 7 კ.
სუკი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 9 კ.
ღორის ხორცი:
პირველის ხარისხისა — 1 გ.
მეორისა — — — 1 გ.

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით სანქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით სანქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისის მოქალაქეთა მიერ გერეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შელავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამკურნალოში, რომელიც თბილისს მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი — 9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი — 10 — 11 საათამდე. — საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11 — 12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9 — 10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10 — 11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9 — 10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11 — 12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლელად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10 — 11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლელად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.


## განცხადებანი

**ინგლისური რკინის კრაოტები.**



ერთის საწოლი 6 მანეთიდგან და ორის საწოლი 10 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 4-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, კოგზები, შეფილდის დანები ჩანგლებით, სამართლებლები, დასადგმელი პირის საბანი, სტაქნები, სუფრის საწყაო, სვები, რიუმკები, საქაშური თეფშები, ბლიუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, პრობკის ამოსაღები, პრობკები, კლიტეები, გასაღებები, კრანტები, აღვირები, ხლისტები, ტახისამოსის დასაკიდებლები, საბალო ჩაკრატლები, ქაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, ჩიყები, ჩარიადები, კაშსიულები, ხათანგები, ნიჩბები, კატერპრუჭი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკები, რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, ჩურაბები, კამფეტები, ზიგულები, ხოშსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონზები, ბომაზეი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩაის მაღაზია თბილისში. (100—10)

**ქუჩა მოკლე**
ს. სიუ და კო.
(Ц. 2592). (46 — 8)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი  მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—99)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

ახალი მცირე მუდმივ-მომქმედი აპეჯი იაფად
მიიღო
ოქროს-მედალი 1878 წლის გამოფენაზედ

**მუდმივ-მომქმედი აპეჯები**

შუშხუნა სასმელების გასაკეთებლად:
ზელცერის წყალისა, ლიმონადისა, სოდისა, შუშხუნა ღვინოებისა, ლუდისა.



სიფონები დიდებიც არის და პატარებიც; ადვილი გასაწმენდია

J. HERMANN — LACHAPELLE

J. BOULET et C-ie, Successeurs Ingénieurs-Constructeurs.

RUE BOINOD, 31—33 (Boulevard Ornano, 4—6 PARIS

ვინც ფოსტის მარკას გამოგზავნის, დაწვრილებითი პირობები გაეგზავნება. (6 — 2)


Доз. ценз. Тифлисъ, 30 Марта 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.